სახალხო გაზეთი

№ 1016 კვირა, 13 ოქტომბერი 1913 წ. № 1016

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დასაბეჭდ: პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ედარება 4 შანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიხნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხალ-ბოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდ წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხოს ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალ-ხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ეკატერინე დიმიტრის ასული და ქეთო ფურცელაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირა, 13 ოქტომბერს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის შვილისა, და მეორესი დისა

ელენე ქაიხოსროს ასულის სალარიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, წირვის შემდეგ ძეგლის კურთხევა და პანაშვიდი. 701

გიორგი ალექსანდრეს ძე, ქეთევან ივანეს ასული, ალექსანდრე საამის ძე, ვლადიმერ და დავით ალექსანდრეს ძენი ხმალაძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 15 ოქტომბერს, გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი, პირველის საყვარელის მეუღლისა და უკანასკნელთა ძვირფასის რძლის

ვერა ხმალაძის მეუღლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე **სოფ. აძვში.** 708.

საგაკვმოკ გაღი
ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყო. ბავშვების მიღება ყოველ დღე. ბაღთან გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებაც. 1518

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუხდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 13 ოქტომბერს, 1913 წ. გამართება

2 დიდი წარმოდგენა

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულისა, ვირტუოზის **ჩარლერ დიკენსა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწვდომელ ნომრებს. სანახაობათა სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველგან ფურორი! სენსაციას! ეტაცება! ტაში-ცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ვარჯიში. ჩარლერ დიკი საზოგადოებას ეტაცებაზე ეოიუანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტალი ვედ ოლიპედით, ცირკის თაღში განავრდება დატვირთულ ეტლზე. ეოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩარლერ დიკის გასტროლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაამსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვი აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინანდილეში ამ საღამოსვე მონაწილეობს ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზ ქალი-**M-le ნაცისა.** დასწერილები. ფიზეტში, ადგილთვის კონტრამარკები არ გაიყიდება. გაეოსლა ჩარლერ დიკის მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 საათზე.

დასაწყ. 1 საღამ. 7-ნახ. ს., დირექცია **ძმ. ესიკოვსკეებისა.**

დღისით 10 კ. 40 კ., ღამეები 2 მ., თავშესაფარის ბავშვების შესვლა უფასოა. 700

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიეგის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საკრთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ამწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

მინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედორაოვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-ყელიქ-შანნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკეშვილი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედორაოვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფოინდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
"ელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოდსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2——2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია. სისხლის განინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. **დაწყებული.** ცალკე ოთახი 5 მ.-დან. **შშობიარობა 10** დღე წოლით ღირს 40 მ. **დაწყებული** .ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების **კატეტერიზაცია, „606"**და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. **წ.** 1466

ქალთა ინგლისური
დემი-პალტოები
უახლესი ფასონებისა.

ძმ. ალოვანგი.

1529

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფ. გრიპკ მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზაფთრის სეზონის ეოასლოვებისა გამო დანიშნულია

დ ი დ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ეოველ კვირა ეოსდის ახალ-ახალი საქონელი **რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ ნ ი პ ო რ ტ უ გ ა ლ ო ვ ი ს ა.**

ძ უ თ ა ი ს ი

ფართლეულოგის მაღაზია.
სავაჭრო სახლი
ს. კალანდარიშვილისა, ნ. ბიქოვანისა და ნ. დავითაიანი,

გვაქვს მიღებული დიდი ასარჩევი **საზამთრო სეზონის საძონელი, იყიდება ხელ-მისაწვდომ ფასად.**

ვორონცოვის ... ქუჩ.

1526

საააქციონერო საზოგადოების
თამგაქოს ქარხანა
„მ ი რ ი"

აუწყებს თავის კლიენტებს, რომ

ფაბრიკა კვლავ განაგრძობს მუშაობას,

რადგან ცეცხლი მხოლოდ ფაბრიკის მასალის საწყობს გაუჩნდა.

დაკვეთილ საქმეს პირნათლად შეასრულებენ.

1532

აგენტმა
ივანე გრიგოლის ძემ
ზალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის ბრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

დაიგეჭდა და იყიდება
მოსწავლეთათვის საჩირო წიგნი

მკენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

მრავალი სურათით. შედგენილი ალექსი ჰიჰინაძის მიერ. ფასი 35 კაპ. (დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

იყიდება ტფილისში მ ხ ო ლ ო დ ჯ ე ჯ ი ლ ის რედაქციაში. (არტილერიის ქუჩა). 1503

კავკასიის საავტომობილო საქონლით
მოვაჭრე ამხანაგობა,

ტ ფ ი ლ ი ს ი, ბ ა ქ ო და ბ ა თ უ მ ი,

აუწყებს თავის მყიდველებს, რომ

ოლგას ქუჩაზე მელიქ-აზარიანცის სახლში,

გ ა ი ხ ს ნ ა

ცალობით მოვაჭრე მესამე

მაღაზია,

სადაც ყოველგვარი საქონელია: პარფიუმერიის კოსმეტიკები, ტუალეტის, საოჯახო, სასადილო, საღეზინფექციო მასალა და სხვა, ერევნის მოედანზე არსებულ მაღაზიის ფასებში.

1534 **ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 15—93.**

მოსწავლეთ ახალი
კაპიტოლინეები

... ...

ამხ.

„პოლეტა"

ტფილისი

20 ცალი **6** კაპ. **10** ც. **3** კაპ.

1497

ექიმი **ივ. გოგოლაშვილი** ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ბიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლოგას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თავქოლაშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ** დარჩენილი ვადა. თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ტ. 122

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ.ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანეე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაშა, სადოსტაკრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 | 4 ს.

ტენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

ოეეორაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ზხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტალამკარიანი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოოხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

საათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებებიდა მოსამზადებელი ჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

საქართველოს გმირი
დიდი მოურავი

გ ი ო რ გ ი
საკაკაძე

სრული გამოცემა 12 სურათ ... **გ. ხეჩუაშვილისა.**

იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში. 692

ბერლინის უნივერსიტეტის დოკტორი მედიცინისა **გ. მეჰრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ფლეკი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთორაქსი.** რენტგენის **ელვანებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ. 9—10 საათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში პატივით ამცნებენ

„ს. მ. კირაკოზოვისა და ბ. ბ. ოგანოვისა“

მიხეილის პროსპექტი, კირკის პირდაპირ.

მიღებულია აუარებელი ახალი საქონელი:

ხავერდი დრაფი ტრიკო

უკანასკნელი ახალი ამბავი შემოდგომის სეზონისა

ა ბ რ ე ე მ უ მ ი ველიუ ფრანჭე ჩერნოგორიის ბრონეე

მაღაზიაში, რაც კი გნებავთ, იმას ამოარჩევთ. მამაკაცთა და ქალთა კოსტიუმები პალტოები და საქონელი. 1535

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 8—4.

დღეს, 13 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგ. იქნება:

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქ. ვ. ყიფიანისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, მდივანი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გუნია, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მეხსი, მამფორია, ციციშვილი, შალიკაშვილი, ურუშაძე, ხონელი, თარალაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება წარჩინებულ ბ. ოდიბოს მეფე, კულტურული მკვლელობა, მორეგში, ზამთრის სიზმარი და სხვ. 1533

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 13 ოქტომბერს, 1913 წ. ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძის** და **ფიფიძის** ნონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამშობლო.

ისტორიული დრამა 5 მოქ. დ. ჩრილთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგველაშვილისა, ყურუსისა, სააკოვისა. ბ-ნნი **ი. ივანიძე, ფიფიძე,** თავდგირიძე, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, ს. ლაყაია, ნინოშვილი, ქვლიფიძე, მაისურაძე და სხვანი. **ადგილების ფასი 4—50 კაპ.** ანტრაქტებში დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი, ოცკეფრის ლოტბარობით. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაზე 5—9 საათიდან. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

1490 მორიგი გამგე **ვ. ბასილაშვილი.**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 13 ოქტომბერს 1913 წ., დღის 11 საათზე, ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შესაბამისი და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

ქ. შ. წ.-ქ. ბ.-ბ. ს. ნიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ბ. ბ. ბ.

ებს, ჩვენსა და მათ შორის სანატრელი მეგობრობა ჩამოვარდებოდაო. ვერც მსხვილი ბურჟუაზია და ვერც თავად-აზნაურობა ვერასოდეს ვერ ჩამოაგდებს უთანხმოებას ორს მეზობელს ერს შორის, თუ ამას ორმა საფუძვლები არა აქვს. ეს საფუძლები კი სრულიად ამა თუ იმ წოდებას და კლასის გარეშეა. ვინ იტყვის, რომ სომეხ-ქართველთა შორის მეგობრობა დამკვიდრდებოდა, თუ ორთავე ერში დემოკრატია გაბატონდებოდა? ან და თვით სოციალისტური წეს-წყობილება ერთბაშად მოჰკვეთდა დღევანდელს უთანხმოებას?

სომეხ-ქართველთა უთანხმობა კლასიური და ჯგუფური მოვლენა არაა, იგი კლასზე უფრო მაღალია და ღრმა, ეროვნულია. ეროვნულია ვამბობ და ამ სიტყვას ეროვნულს სრულებით არ მინდა მივცე ,რაიმე შოვინისტური ხასიათი. მთელის არსებობით მძაგს და მეზიზღება ყოველი ეროვნების შევიწროვება, რადგან ეს სულის დამონავება, დათრგუნვაა და არასოდეს არ ვისურვებდი, არც ვფიქრობ, რომ მსგავსი რამ ჩამოვარდეს ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის. მაგრამ ცხადია, რომ ღღეს ჩვენსა და სომხებს შორის ღრმა, ეროვნული ქიშპობაა და ქიშპობის დროს შესაძლებელია, ერთი მეორის უფლება გადავლახოთ. ჩვენი და მათი ტერიტორიის ნაწილები ერთ მეორეში ითქვიფებიან, ჩვენ ერთმანეთში გადავდივართ—ეს მაშინ, როდესაც ქართველსა და სომხის ერში ეროვნული თვითშეგნება დღითი-დღე ძლიერდება. ჩვენც თავგამოდებით გვინდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითარსებობა, კულტურა, შემოქმედება, და სომხებსაც. თუ რამე გვეღობება წინ ამ ეროვნულ მისწრაფებაში, უნდა თავიდან მოვიშოროთ. ადვილად შესაძლებელია, რომ ღღევანდელ პირობებში ვისმესთვის არ იყოს სასურველი ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ გავუწევთ ანგარიშს, თუ ისტორიული მოწოდება მიგვიწვევს ამ გზისკენ. არავის დაჩაგვრა, შევიწროება არ გვინდა, არავის მოვეპყრობით ეპატივცემლოდ, მაგრამ ჩვენს თავისუფალს ეროვნულს განვითარებას ვერავის ინტერესს ვერ შეეწირავთ.

ჩვენ გვინდა ეროვნული არსებობა, ვამბობთ ქართველები. ჩვენ გვინდა ეროვნული არსებობა, ამბობენ სომხები. ერთი ხმაც და მეორეც საუფუძვლიანია და სამართლიანი. შეთანხმება ამ ორი ხმისა ადვილი საქმე არაა. დიდი შრომა და განვითარებაა საჭირო იმისთვის, რომ სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ჩადგეს წესიერ კალაპოტში. ორივე ერის განვითარებამ წარმოშობა დღევანდელი უთანხმოება და რაც უფრო გაიზრდება ეროვნული აღორძინება, მით უფრო გაძლიერდება ეს უთანხმოება და ჩვენი მოვალეობაა, არასოდეს არ დაეკარგოს ამ უთანხმოებას კულტურული ხასიათი და არ გადასცდეს იმ საზღვარს, სადაც ისპობა ადამიანური ურთიერთობა და იწყება ველური, ცხოველური. შორს ვიყოთ, როგორც ჩვენი ეროვნულის უფლებათა შეზღუდვისაგან, ასე სხვისი ღირსების დამცირებისა და უკადრისი მოპყრობისაგან. დავიცვათ მედგრად ჩვენი და პატივი ვსცეთ სხვისას. გვწამდეს შეურყეველად ჩვენი ღმერთი და ნუ დავიცინებთ სხვის რწმენას...

სიტყვა.

სომეხთა ცხოვრება

გუშინ და ღღეს სომხის ერი დიდის ამბით ღღესასწაულობს მესროპის მიერ გამოგონილ ან-ბანის 1500 წლის იუბილეს და აგრეთვე სომხური ბეჭდვითი სიტყვის 400 წლის ღღესასწაულს. ღღესასწაულს ცენტრალურ ადგილად დანიშნულია ეჩმიაძინი. ტფილისში ღღესასწაული გაიმართება ნერსესიან სემინარიის ახალ შენობაში, ნაშუადღევის 2 საათზე.

დილის 10 საათზე დაიწყება სადღესასწაულო წირვა ვანქის ეკლესიაში. მწირველი ტფილისის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მესროპი. წირვის შემდეგ პროცესია, მთელის სამღვდელოებისა და საზოგადო-საკულტურო დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, გაემგზავრება ნერსესიან სემინარიისაკენ, სადაც გაიმართება საიუბილეო კრება. ვანქის ტაძარში, წირვის შემდეგ, 12½ საათზე, გადახდილ იქნება საქათალიკოსო პარაკლისი.

გუშინ კი ამ ღღესასწაულის გამო ვანქის ტაძარში, წირვის შემდეგ გარდახდილ იქნა პანაშვიდი სომხურ ლიტერატურის მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად. წირვას და პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. წირვის დროს ეპისკოპოსმა აშოტმა წარმოსთქვა სიტყვა ამ მნიშვნელოვან ღღის გამო. ამ ღღეს სომეხთა სკოლების მოწაფენი სწავლიდან განთავისუფლებულ იქნენ და წირვას დაესწრენ მასწავლებლებითურთ. ამ ღღესასწაულის გამო გუშინ „ტფილისის საკრებულოში“ გაიმართა საღამო. ნერსესიან სემინარიაში უცხო სტუმართათვის რუსულს ენაზე სიტყვას წარმოსთქვამს მასწავლებელი ს. ლისიციანი, ხალ არტისტიულ თეატრში ამ ღღესასწაულის გამო გამართული იქნება საიუბილეო წარმოდგენა. დასდგამენ ახალს პიესას „საჰაკ-და-მესროპს“, თხზულება მსახიობ არმენიანისა. ეს პიესა ეხება იმ ხანას, როდესაც გამოგონილ იქნა სომხური ან-ბანი, ამავე ღღეს ხალხისათვის, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა, რომლის დაწყებამდე წარმოთქმულ იქნება ღღის შესაფერი სიტყვა. ამ ღღესასწაულის გამო დაარსდა სასკოლო ფონდი, რომელიც მოხმარდება სომხის სკოლების გაძლიერების საქმეს.

1500 წლის წინად სომხებს ასოები არ ჰქონდათ. სწერდნენ და ლოცულობდნენ ან ბერძნულად და ან ასურულად. ამგვარი გარემოება დიდად აბრკოლებდა ხალხის სწავლა-განათლების საქმეს. ამ დროს არქიმანდრიტმა მესროპმა გამოიგონა სომხური ასოები და თანამედროვე ქათალიკოსის საჰაკ პართევის და მეფე ვრამშაპუჰის ხელშეწყობით სთარგმნა საეკლესიო წიგნები; აგრეთვე სომხეთის სხვა და სხვა ადგილებში გახსნა სასწავლებლები, ასე რომ, მას შემდეგ სომხის ახალგაზრდობა საბერძნეთის მაგივრად, სწავლა-განათლებას იღებდა სამშობლოში.

400 წლის წინად კი იტალიის ქ. ვენეციაში დაიბეჭდა გუტენბერგის მიერ გამოგონილი მანქანით პირველი სომხური წიგნი.

ამ ღღესასწაულის გამო ტფილისის სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოებამ (აბას-აბადის მოედანთან) გახსნა სომხურ ბეჭდვითი საქმის გამოფენა.

ფოთლები

1.

დ‘ ანუნციო.

თანამედროვე ევროპიელ მწერალთა შორის შესაძლოა პირველობა იტალიელს ხელოვანს ანუნციოს ვაკუთვნოთ; იგი პირმშო შვილია ლათინთა მხიბლავი გენიისა, იგი ნამდვილი მემკვიდრეა დანტე ალიგიერის; მართალია, „ღვთიური კომედიის“ შემოქმედი მკაცრი მგოსანია, ანუნციო კი ლადი, მაგრამ ორივეს იტალიის მუქ-ლურჯი ცის თაღი აერთებს; და თუ პირველი ნამდვილი მსოფლიო გენიოსია, მეორეს გენიალობის ცეცხლის ნატეხს ვერავინ წაართმევს.

ანუნციოს ფანტაზია პლასტიურია ყოველ თვის: მგოსნური ხატი მის შემოქმედებაში მარმარილოდ იქრება; ხატი იგი არ წაგავს ბურუსში შვებულს ჩრდილოელ მოღუშულ სახეს: ამ მხრით, მაგალითად, ანუნციოსა და ჟენრიკო იბსენის შორის უფსკრულია ნამდვილი; არც სლავთა შვილის პშიბიშევსკის ცივ-ცხელებაა ანუნციოს ფანტაზიის ალი; ვიდაცამ სთქვა: ანუნციო შენელებული პშიბიშევსკიაო; მაგრამ შეადარეთ უკანასკნელის „დე პროფუნდის“ პირველის „მკვდარ ქალაქს“,—და თქვენ დარწმუნდებით, რომ ერთი და იგივე ტრაგიული პრობლემა ამ ორს თხზულებაში სხვადასხვა გზით არის გახსნილი.

ბევრისთვის ანუნციო ერეტიკოსია; ეს არ არის სავსებით სიმართლე; მართალია, ერთი მისი რომანი წაგავს მის მეორე რომანს, მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ მის რომანებში არის ისეთიც (მაგ. „ჯიოვანნი ეპისკოპო“), რომელიც ანუნციოს შემოქმედ პიროვნებაში სრულიად სხვა „ფერს“ გვიჩვენებს; და კიდევ: ანუნციო არ არის რომანისტი მარტო, იგი ლირიულ დრამების ავტორიცაა (მაგ., „მკვდარი ქალაქი“, „ჯიოკონდა“, „გლორია“, „ფრანჩესკა და რიმინი“ და სხ.); და დრამებში ანუნციო არ წაგავს ანუნციოს რომანებში.

მომჯადოვებელია ანუნციოს ლირიკო-დრამატიული შემოქმედება, მაგრამ მისი ხელოვანი მარჯვენა, მგონი, რომანში უფრო გრძნობს მარჯვე სილაღეს; რომანი, როგორც ერთგვარი ფორმა პოეტური შემოქმედების, ანუნციოს კლასიკურ სრულობამდე ჰყავს აყვანილი; თქვენ წინ, მწვანე მდელოში, იშლება ფართო მდინარე, რომლის თეთრს ენებიან მკერდს ოდნავ დაჰკვრია მთრთოლვარე ხალისი მუქ-ლურჯა ცისა; მდინარეს იგი ნელად, პირდაპირ,—და თუ ხანდახან გველად გაკლაკნილი გვერდით გადაუხვევს ხოლმე, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ არავინ იფიქროს, ვითომ კალაპოტი იყოს იგი დატყვევებული; ასე იშლება ანუნციოს რომანი; ხოლო რომანის სიცოცხლე, სიყვარულის ვნება, ავტორის სახე რომ ვიხმაროთ, მარმარილოზე დანთხეულ სისხლს გვაგონებს.

პირადათ მე მის რომანებში ყველაზე უფრო მომწონს „ტრიუმფი სიკვდილისა“; ამ რომანის მოტო ოვიდიუსის უკვდავი სიტყვაა: **არც უშენოდ და არც შენთან სიცოცხლე არ შემიძლია**; ანუნციომ ამ სიტყვაში გახსნა სიყვარულის პრობლემა: უშენოდ არ შემიძლია სიცოცხლე, რადგან მიყვარხარ უსაზღვროდ,—შენთან არ შემიძლია ერთყოფის განხორციელება; და სიყვარული იქცევა საშინელ ტანჯვად, რომლის სახსნელად მხოლოდ სიკვდილია გამზადილი; ტანჯვის აქტივი განმცდელი ვაჟი არის, ხოლო პასივი განმცდელი ქალი; ვაჟს უნდა სძლიოს ეს ტანჯვა, ქალი მას ტანს უშლის სავნებელად; ვაჟი ცდილობს მოგრიოს ქალის სქესს, მაგრამ ვნების ჭურჭელი ქალისა დაუშრეტელია,—და აჰა, იმართვის მათ შორის ბედისწერითი ბრძოლა, რომელიც უფსკრულში გადაჩეხით თავდება; საკვირველია ერთი რამ: როცა ვაჟი ქალს აიყვანს და მასთან ერთად სიკვდილის ბნელეთს მიმართავს, ქალი მას სამჯერ მკვლელს ეძახის გაფთრებული; ასეთია ბოლო ამ შესანიშნავი რომანისა, რომელშიაც ანუნციომ არწივის ფრთები გაშალა.

მე ვსთქვი: ანუნციოს გენიალობის ცეცხლის ნატეხს ვერავინ წაართმევს-მეთქი; ბევრი მასში არც ამ ნატეხს დაინახავს; რისთვის? ანუნციოს აქვს ერთი თანდაყოლილი თვისება, რომელიც ხელს უშლის მისი ნიჭის სავსებით გაშლას: ეს არის ძველ რომაელთა ამაყი პოზა; მართალია, იგი პოზა ლამაზია, მაგრამ იგი აქრობს კლასიკურ უბრალოებას; და კლასიკური უბრალოება აუცილებელია დიდი ხელოვნებისათვის; მახვილობა, ჰეგელის სიტყვით, წინააღმდეგია გენიალობისა,—და თუ ეს სიტყვა ოდნავ მაინც მართალია, ძაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ როგორ აბრკოლებდა იგი უაილდს, თუ როგორ აფერხებს იგი ანუნციოს; ანუნციოს პათოსი ამისათვის ხშირად მშრალი და ცივია, რაც დიდი ნაკლია ხელოვნებაში.

ეს ნაკლი გახსაკუთრებით მხილდება ერთს მის რომანში—„ცეცხლი“; ცნობილია, ანუნციოს სიცოცხლე მი ისეთმა მშვენიერმა ფრინველმა გადაიფრინა ინტიმუად, როგორიც არის ლიდებული ქალი. არტისტი ელეონორა დუზე; ანუნციოს მგოსნურ სმენას ჩარჩა უთუოდ მათრობელი შრიალი ამ ფრინველის ლურჯი ფრთებისა,—და ძგოსახმაც ეს შრიალი ხასხენებ რომანში გაშალა; ხოლო აქ თავის თავიც უნდა გამოეყვახა,—და აქ მის წინ აიმართა საშინელი საფრთხე, თავის თავის ამაყი პოზით ჩვენება; საუბედუროდ საფრთხემ სძლია ხელოვანს ანუნციოს.

ანუნციო ცხოვრებაშიაც ძველი პატრიციების თაყვანისმცემელია; ამ რამდენიმე ხის წინად ძას ვალებში გაუყიდეს ძვირფასი მამული, ძვირფასი სასახლით და ძვირფასი ბუზეუმ-ბიბლიოთეკით; ანუნციომ იწყინა ეს და პარიზში გადასახლდა; შემდგომ მისმა მშობელმა მხარემ უყიდა მას სასახლე მაღალით; ანუნციომ უარი შეუთვალა მას ამაყი პოზით: ცასა და მიწის ქვეშ ყველგან ჩემი სახლკარიაო; აი პასუხი ნამდვილი პატრიციების შთამომავალისა.

ანუნციოს ღრმად სწამს ლათინი გენიის ისტორიული მისია; საკუთიც აქვს სწამდეს: იგი თვითონ ამ გენიის პირმშო შვილია.

გრ. რობაქიძე.

დაუბეჭდავი არჩილ ჯორჯაძის გეოგრაფიისათვის

წელს, ძაისში, საძსახურის საქმეების შესახებ კავკაზში მომიხდა ყოფნა. იქ ხშირად დავიარებოდი პატივცემულ მიხეილ მოსეს ძის მღვდლიევსს ოჯახში. ერთ ღღეს, როდესაც მისას შეკრებილნი ვიყავით რაღოდენიმე ქართველი, (იყვნენ სხვათა შორის მსახიოზნი ბ. შალიკაშვილი, ზარდალიშვილი და კავკავის ქართული სკოლის გამგე ვ. ბურჯანაძე და სხვ.) მოვიგონეთ, რასაკვირველია, ახლად გარდაცვალებული არჩილ ჯორჯაძე და ერთმანეთს შევსტიროდით მის უდროოდ დაკარგვას. ამ დროს ბ. მიხეილ მღვდლიევმა შემდეგი გვიამბო არჩილის შესახებ: „თქვენზე უფრო მე მეწვის გული არჩილზე, იმიტომ, რომ არჩილს ბავშობიდან ვიცნობდი და ქართული წერა-კითხვაც მე შევასწავლე.

ქუთაისის გიმნაზიის მერვე კლასში ვიყავი, როცა პატარა, ცელქი არჩილი გავაცანი, ის მაშინ იქნებოდა 8—9 წლისა. ეს იყო 1882 წელს.

არჩილის მამა ქუთაისში საპორის ყაზახ რუსთა რაზმში მსახურებდა „ვოისკოვი სტარშინის“ (პოდპოლკოვნიკის) ჩინით. არჩილის დედ-მამა კარგად შეძლებულნი იყვნენ, იყვნენ ძლიერ დაახლოვებულნი პრინცის ოლდენბურგის ოჯახთან და ხშირად ერთად ატარებდნენ დროს. არჩილის მამა, როგორც მახსოვს, დიდ ხარჯებს ეწეოდა. სახლში ყველა რუსულად ლაპარაკობდა. ცხრა წლის არჩილმა ქართული არც კი იცოდა. ხშირად ვხედავდი არჩილს ეზაში მოთამაშეს, მეტად ცქვიტი, მხიარული და საყვარელი ბავშვი იყო. არჩილს იმ დროს კლასში შესაყვანად ამზადებდნენ. საგნებს მას ასწავლიდა გიმნაზიის მერვე კლასის შეგირდი მანუჩაროვი—სომეხი. მანუჩაროვი მეტად განვითარებული, ჭკვიანი და დაწინაურებული ყმაწვილი იყო, ქართულიც კარგად იცოდა. მანუჩაროვმა პირველმა მიაქცია ყურადღება მას. ერთხელ საყვედურით მომმართა და მითხრა: სირცხვილია ასეთმა ნიჭიერმა ბავშმა სამშობლოენა და წერა-კითხვა არ იცოდეს. შენ, როგორც ქართველმა, უნდა იკისრო და შეასწავლო არჩილს ქართული წერა-კითხვაო. (აქვე ბ. მღვდლიევმა დასძინა ისიც, თუ რა კარგი განწყობილება სუფევდა იმ დროს ქართველებსა და სომხებს შორის, რომ სომეხს ასე აწუხებდა ქართველი ბავშის სამშობლო ენის უცოდინარობა. ღღეს რომელი სომეხი იქმს ამასო). მეც, ბრძანა ბ. მღვდლიევმა, იმ ღღიდან შევუდეგი და დავიწყებინე არჩილს ქართული ან-ბანი. როდესაც არჩილს ვკითხე: სურს თუ არა მას ქართული წერა-კითხვის შესწავლა, გახარებულმა რუსულ კილოთი მომიგო—ძალიან მინდაო.

არჩილი დიდის სიხარულით მოეკიდა ქართულს სწავლას. პირველი ლექსი, რომელიც მან დედა-ენაზე დაისწავლა იყო „ყმაწვილი და პეპელა“ აკაკისა. ეს ლექსი ძლიერ მოსწონდა არჩილს და ხშირადაც იტყოდა ხოლმე.

მახუჩაროვი აღტაცებაში იყო მოსული არჩილის ნიჭით და დიდ მომავალს უქადდა მას. ჩემის ფიქრითო, ბრძანა ბ. მღვდლიევმა, მანუჩაროვმა კარგი გავლენა იქონია პატარა არჩილზე, მან არჩილს კარგი მიმართულება ძალა და თავიდანვე კარგ ნიადაგზე დააყენა იგი.

მახუჩაროვი გიმნაზიის დასრულების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში წავიდა. ის ხშირად სხვა და სხვა კრებაში იღებდა მონაწილეობას. 1884 წ. ის ტფილისში დაატყვევეს, როგორც არასაიმედო პირი და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

რამდენადაც მახსოვს, ასე გვიამბო ბ. მღვდლიევმა არჩილის შესახებ. ჩემის ფიქრით, კარგი იქნება, ვინმე წერილით მიმართავდეს ბ-ნ მღვდლიევს, რომ უფრო დაწვრილებით გაგვაცნოს ჩვენი არჩილის ბავშობის ხანა.

ბ. მიხეილ მღვდლიევი ღღეს ბრძანდება ქალაქ სარატოვში. ის იქ კავკავიდან გადაიყვანეს ტფილისის საგუბერნიოს უფროსის ბ. ლაგოდასთან შეტაკების შემდეგ. ღღეს მას უჭირავს სარატოვის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის ადგილი.

ავქსენტი აბესაძე.

წერილი მოსკოვიდან

ისტორიაში, მგონია, შავ-ბელ ლეგენდად დარჩება ის ამბავი, რაც ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო დატრიალდა... მაგრამ ჯერ კიდევ არ გათავებულიყო ეს შუკაველი სატურნალია და ვნებათა გახელება, რომ მეორე მეტ-ცხვენილ ფაქტს ძიეცა ადგილი. 28 სექტემბერს მოსკოვში დანიშნული იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურული წრის მორიგი კრება. მიმდინარე საკითხთა სიაში, სხვათა შორის, შეტანილი იყო საკითხი თამარ-მეფის ეკლესიის მოწყობის შესახებ. ყველა ჩვენგანი ფიქრობდა, თუ როგორ ეწყობილიყო საუკეთესოდ ეს ღღესასწაული, რომელიც გვაზიარებს დიდებულ წარსულს, საუკუნეთა ბურუსიდან გამოუხმობს იმ სულს, რომელიც დადგა დროსა და სივრცის გარეშე და მძიმე ტამს ღონის მილევისას ქართველი მისგან იღებს გამხნევებას, სრულიად დარწმუნებული, რომ იგია ქვაკუთხედი ქართული ძველის-ძველი კულტურისა. მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორი იყო განცვიფრება, როცა წრის გამგეობამ განაცხადა: რადგან გამგეობაში აზრი გაიყო, ვიდღესასწაულოთ, თუ არა, თამარ მეფის იუბილე, გამგეობა საკითხს გადასაწყვეტად უყენებს კრებასო...

ყველას თითქო ცივი წყალი გადაესხა... კრებამ მოითხოვა, რომ მოწინააღმდეგეს დაესაბუთებიათ, თუ რა მიზეზით არიან იგინი ამ იუბილეს წინააღმდეგი.

მაშინ წამოდგა ვლ. ემუხვარი და ჯერ უცნობი კაცნიერებით დაიწყო, რომ მას დამდაბლებად მიაჩნია მეოცე საუკუნეში იღღესასწაულონ თამარ ღედოფლის იუბილე, რადგან თამარ მეფე დამამყარებელი იყო აბსოლიუტიზმისა, რომ თამარ მეფე ოქროს ხანის შექმნაში არაფერ შუაში არ იყო და, თუ ქართველ საზოგადოებაში არის გავრცელებული, რომ თამარი იყო მეთორმეტე საუკუნის სულიერ კულტურის ქვაკუთხედის ჩამგდები, ეს ბრალია ქართველი პროფანი ისტორიკოსებისა à la ილოვაისკი, რომელთა აზრიც გაყინულია დაძველებულ ბიზანტიზმზე, რადგან ერთეული პიროვნება ჰგონიათ შემქმნელი ისტორიისაო. ამიტომ იგი მოუხმობდა ყველას, ვისაც არ უნდოდა თვისი სახელი შეურაცხეყო, გაეწია წინააღმდეგობა იმ ნაძირალებისთვის, რომელიც აწყობენ ამ შავრაზმულ საქმესო. ბ. ემუხვარს კვერი დაუკრეს დანარჩენმა ძმა-ბიჭებმაც.

ამ განცხადებამ გამოიწვია ცხარე კამათი. პირველად ილაპარაკა გრ. ვეშაპიძემ; მან გამოსთქვა გაოცება ამ ინციდენტის შესახებ, დაახასიათა თამარ მეფის როლი მეთორმეტე საუკუნეში, შეეხო საზოგადოდ, თუ რა კავშირით არის გადაბმული ცხოვრება პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან და ხალხის დ ინტელიგენციის დამოკიდებულებასთან. კამათი დიდხანს გაგრძელდა და ,ბოლოს თავმჯდომარის, ალექსანდრე ნ. ჯავახიშვილის, წინადადებით, რომელიც უმედეგოდ შეეცადა ჩვენს შერიგებას, კრებამ დიდი ხმის უმეტესობით 32—11 წინაღმდეგ, მიიღო გრიგ. ვეშაპინის ფორმულა: ვიღებთ რა ძველველობაში, რომ თამარის იუბილეს გადახდა, მისი გახსენება პირდაპირი მოვალეობაა ქართველ კულტურის მოყვარულთა წრისათვის, და, რომ ამ ღღეს საქართველოში ეენება ნამდვილი ხალხური ღღესასწაულის, ხასიათი, მოაწყოს წრემ იუბილე; ამასთანავე ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამით ვეგებებით წინ ქართველი ერის პროგრესიულ უძრავლესობის ლტოლვათ.

დასკვნები არ მოელოდნენ ამ საშინელ დამარცხებას.. მათ წინდაწინვე მოეწყოთ საქმე და აპირებდნენ კრების გაცრუებას: ითხოვდნენ იუბილეს **ოქროს ხანიხას**.. მაგრამ, როცა გამოჩნდა, რომ მათი იეზუიტური ხრიკები გაიბნენ, დემოსტრატიულად დასტოვეს დარბაზი, განცხადებით, რომ მათ არ შეუძლიათ იმუშავონ იმ წრეში, რომელიც უმრავლესობით წყვეტს: შესაძლებელი და სასურველია თამარ მეფის იუბილეო.

ტ. ტაბიძე.

რეზო უანჩელის ხსოვნას

თითქმის ერთი კვირაა, რაც სამარეს მივაბარეთ ჩვენი რეზო. ძე ძინდა ოორიოდე სიტყვით მოვიგონო განსვენებული. უდროო და მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი, მაგრამ ის მოკლე ხანი, რომელიც მან ამ ქვეყნად გაატარა საყოფი იყო, რომ ყველას პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა. რეზო არ იყო არც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, არც მწერალი, მაგრამ თამამად ვიტყვით, რომ ადამიანობით ბევრი ვერ სჯობდა მას. მეგობარი იყო, ნაცნობი, ბავში, მოხუცი, მდიდარი თუ ღარიბი ყველა რეზოს მეგობარი იყო, რეზოს ყველა უყვარდა. თუმცა რეზო ადამიანობით, სიყვარულით სავსე იყო, მაგრამ ცხოვრებაში ბედი არა ჰქონდა. იგი მეტის-მეტად თავაზიანი იყო, თხოვნა—ლაქუცი ეჯავრებოდა, და ამიტომ ცხოვრებაში შესაფერი ადგილი ვერ ძოიპოვა. უმაღლეს სწავლით ახალგაზრდა, ბუნებით ჭკვიანი, გულით პატიოსანი რეზო რამდენიმე წელიწადი უადგილოდ დაიარებოდა. ბოლოს იძულებული გახდა სახელმწიფო ბანკში შესულიყო, მაგრამ იქ რამდენიმე თვეს იმსახურა და გადასწყვიტა ისევ ვექილობისთვის მიმეტანა ხელი; აქაც დიდი გაჭირვება გამოიარა რეზომ, მასთან უფრო ისეთი ხალხი მოდიოდა საქმეზე, რომელთაც ბევრი არაფერი მოეპოვებოდათ რა. რეზო მაინც იღებდა ხოლმე მათ საქმეს. „არა უშავს რა, როცა ექნებათ, მაშინ მომიტანენ ფულსაო“ იტყოდა ხოლმე საბრალო. რეზომ საშუალო სწავლა ტფილისის პირველს კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, ხოლო უმაღლესი სწავლა კიევის უნივერსიტეტში უფლების ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს რეზომ ორი თუ სამი წელიწადი დაჰკარგა მოძრაობის გამო, ბევრი ურჩევდა: „ღარიბი კაცი ხარ, შენთვის დადეგ, ისწავლეო“, მაგრამ რეზოს პასუხი ერთი იყო: „ვერც სიღარიბე და ვერც გაჭირება ვერ დამავიწყებინებენ ადამიანის მოვალეობასაო“. განათლების მინისტრის ბრძანებით, სტუდენტობის მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობისათვის, რეზო გაგზავნილი იყო ჯარის-კაცად პოლტავის ახლოს. იქ რეზომ ექვსი თუ შვიდი თვე დაჰყო. როცა სამშობლოში დაბრუნდა, აქაც გულხელ დაკრეფილი არ ყოფილა, მისმა გულმა აქაც არ მოისვენა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში მოძრაობა იწყებოდა; თვისი მიმართულებით რეზო უკიდურესი მებრძოლი იყო. ერთხელ როცა რეზო სოფელ ყუმისის ახლოს ხალხს უქადაგებდა, დაიჭირეს და ტფილისს ჩამოიყვანეს. ტფილისშიც რომ ქლეტა ასტყდა თათრებისა და სომხების შორის, მაშინ რეზო არც აქ დაჰკლებია. უნდა გენახათ რა თავგანწირვით დადიოდა თოფის საშინელ სროლაში უბან-უბან და უქადაგებდა თათრებს ძმობას, სიყვარულსა და ერთობას.

მშვიდობით ჩემო მშვენიერო მეგობარო, რეზო, სამარადისად იყოს ხსოვნა შენი.

დ. ს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ღღეს ქართულ თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ვასილ ყიფიანის ისტორიული დრამა „ლევან, სამეგრელოს მთავარი“. პიესას რეჟისორობს ბ-ნი ვ. შალიკაშვილი. მთავარი როლები განაწილებულია ასე: მეფე ლევან—ვ. გუნია, მთავარ-სარდალი—გიორგი შალიკაშვილი, არჩილ—ზარდალიშვილი, სვიმონ გურიელი—იმედაშვილი, ქაიხოსრო გურიელი—იშხნელი, თავ. ჰაატ—კ. მესხი, მანუჩარ—ტასო აბაშიძის ასული, დედოფალი—მ. მდივნის ასული, ნინო გურიელისა—დავითაშვილის ასული, დარეჯან—ქიქოძის ასული და სხვანი. წარმოდგენაზე ფასები დაკლებულია.

შემდეგი ქართული წარმოდგენები დანიშნულია ხუთშაბათს—„მეფე ჰოიდიპოსი“ და კვირას „გადაჭრილი მუხა“ ბ. შალიკაშვილისა. ეს პიესა შარშანდელ სეზონში ოთხჯერ იყო დადგმული და ოთხჯერვე თეატრი სავსე იყო მაყურებლებით.

„ჰოიდიპოს მეფეს“ ამზადებს ბ-ნი ქორელი იმ მიზან-სცენებით, რომელითაც შარშან-წინ ეს პიესა დადგმული იყო სახაზინო თეატრში კონსტანტ. მარჯანიშვილის მიერ. მთავარ როლებს სოფოკლეს ტრაგედიაში შეასრულებენ ბ-ნი იმედაშვილი ჰოიდიპოს, ქიქოძის ასული—იოკასტე, ზარდალიშვილი—კრეონი, იშხნელი—ტირეზი და სხვა.

14 ოქტომბერს ქართულ თეატრში შესდგება საგანგებო საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდება სოფ. მუხრანში არსებულ გრაფინია ე. ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ. ეს თავშესაფარი წარმოადგენს პირველ ტიპს ამიერ-კავკასიის სოფელში სახალხო ბავშვების ბაღისას, რომელსაც საფუძვლად ედევს თავისუფალი აღზრდის პრინციპი.

კულტურის ნორჩმა პირმშომ პირველი ფრთხილი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ საზოგადოებამ, რომლის დახმარება და ზრუნვაც მას ასე ესაჭიროება, ჩუმად დი ცივად ჩაუარა გვერდი. ოდნავ აინთო ნაპერწკალი და ცივი ქარი უკვე აქრობს მას...

ამ დროს კი, ეს თავშესაფარი ხომ სახეა მომავალი თავისუფალი შვილისა, სადაც უკვე ეხლავე ჰპოულობენ თავშესაფარს, როგორც ქართველი, ისე სომეხი ბავშვები... მომავალი განვითარებით განხორციელდება უფლება ყველასი, ყოვლისადმი, რის მიცემასაც კი შესძლებს თავშესაფარი ყოველი ერის ბავშვის სულს. თავშესაფარის სასარგებლოდ პირველად გამართული სეირნობა არ იყო სარგებლიანი.

დარწმუნებული ვართ, საზოგადოება განიმსჭვალება იმ ჰუმანიური იდეით, რომლის მატარებელია სკოლა-თავშესაფარი ამიერ-კავკასიის სოფელში და მხურვალედ დაუჭერს მხარს მომავალ მძლავრს მუხის მწვანედ აშლიან ნორჩ ტოტებს, რომელთა ჩრდილოში ცხოვრების პაპანაქებისაგან თავს შეაფარებს ამიერ-კავკასიის გლეხობის ბევრი ბავშვი.

საღამოს პროგრამა ასეთია: 1) „ვოლგის მხრის ბილინა“, დადგმული მსახიობის ა. ბურლაკის მიერ, 2) „სტენკა-რაზინი“ ლექსით, რამდენიმე სურათად ვოლგას მხრის ძველი სიმღერებით. 3) სპირიტიული სეანსები ცნობილი სპირიტი—მოგვის ბენ-ალი-ბეისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

12 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ათინა. მცირე კომისია შეთანხმდა ვაკუფების საკითხის გამო. დღეს მუფთიების საკითხს განიხილავენ. ოსმალელმა დელეგატებმა ნება რთეა გამოითხოვეს პორტისაგან, რომ საკითხი საერთო კრებას მოახსენონ.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო უარჰყოფს ხმებს, თითქოს სერბიელებს ბულგარელები დასხმოდნენ თავს, რაც შეუძლებელი იყო, რადგან ბოიარიცის საყარაულოში მხოლოდ ექვსი ბულგარელი იყოო.

ვენა. ვალონიდან იუწყებიან: დროებითმა მთავრობამ დიდი კრება მოიწვია და ესად-ფაშის მოქმედება და ქვეყნის ეხლანდელი მდგომარეობა გააცნო მას. კრებამ დაჰგმო ესადფაშის მოქმედება და დროებითს მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

ბელგრადი. სკუპშჩინამ მიიღო სესხის ხელშეკრულება.

მექსიკა. დიქტატორმა ჰუერტმა განუცხადა დიპლომატიურ კორპუსს: მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უცხოელთა სიცოცხლე დაიფაროს, მაგრამ, თუ ჩრდილოეთ ამერიკის შტატები საქმეში ჩაერევა, მექსიკა ამას ვერ ითმენსო. არც საფრანგეთსა, ინგლისსა და გერმანიას დარჩება სასიამოვნოდ ესა და მექსიკის საკითხს ძლიერ გაამწვავებსო.

სტამბოლი. დიდმა ვეზირმა ბრძანება გასცა დღეში ორის მაგიერ ოთხჯერ გაატარონ გემები. სამხედრო ბინისტრი რუსეთის სამი გემი გაეთავისუფლა რუსის ელჩის მოთხოვნის გამო.

რომი. კოკოვცევს სიცხე 380 აქვს; წითელი ქარი მთელ სახეს ედება.

ოპორტო. მშვიდობიანობა დამყარდა. დატუსაღებულია მონარქისტების მეთაური გრაფი მანგელდი.

ბერლინი. 11 ოქტომბერს ჭლექის საწინააღმდეგო კონფერენციაზე მიღებულ იქნა პროფესორ პანვიცის წინადადება, რათა კერძო დაწესებულებებმა, ჭლექის საწინააღმდეგო საერთაშორისო საზოგადოებამ და მთავრობის დამზღვევმა საზოგადოებებმა თანხმობით იმოქმედონ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

სხვა და სხვა საკითხის განხილვის გამო წაიკითხეს ლექციები და აჩვენეს სურათები ჭლექის თაობაზე.

ლონდონი. გაზეთები იუწყებიან: გერმანიასა და ინგლისს მოლაპარაკება აქვთ გამართული ზანზიბარის დათმობის თაობაზეო. სამაგიეროდ ინგლისი სპარსეთში გერმანიის გავლენის გაძლიერებას ხელს არ შეუშლის. თათბირია აგრეთვე ინგლისის მიერ აფრიკაში რამდენიმე ადგილის დათმობისა და ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულების დადასტურების გამო, რომელიც სპარსეთის ყურეს შეეხება.

თეირანი. ბახტიარის სამსამ-ულსალტანეს ისპაჰანის გუბერნატორად დანიშვნამ ძლიერ გააჯავრა ბახტიარები. მცხოვრებნი მტრულად უცქერიან ბახტიარებს.

რუსეთი.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ პოლონურ გაზეთის „ძძენიკ პეტერბურგსკის“ თანამშრომელს გროსტარნს დეპუტატ როდიჩევის სიტყვის დაბეჭდვისთვის ციხე მიუსაჯა. ამ სიტყვისთვის დეპუტატი სათათბიროს ხუთი სხდომიდან იყო გამორიცხული.

ცნობების მიმწოდებელი ბიურო უარჰყოფს გაზეთების ცნობას, თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრი მინისტრთა საბჭოს წინადადებას აძლევდეს, დეპუტატების სტენოგრაფიულ ანგარიშებისთვის ცენზურა შემოიღონ.

„ოფიციალურად. სავაჭრო ნავსადგურების განყოფილება, გაზეთებში ამ ბოლო დროს დაბეჭდილ ცნობის დარდანელის დაკეტის გამო, აცხადებს: 1912 წელს დაიკეტა გემებისთვის დარდანელი, რადგან სრუტე ნაღმებით იყო ავსილი. მხოლოდ რამდენიმე საათი იყო გემებისთვის დანიშნული. გემებს შეეძლოთ განსაკუთრებულ გემ-სპილოტის თანხლებით სრუტეში გასვლა. მაგრამ ეს საათებიც მუდამ იცვლებოდა. ეხლა ახალი საათებია ამ ზამთრის სეზონში დანიშნული. დილის 8½ ს.—10½ საათამდე, მეორე ქარავანი დღის 2—3 საათამდე, ამნაირად გემები დღეში ორჯერ ივლიან. გემების-პატრონებისთვის ეს არაფერს საზიანოს არ შეიცავს, ხოლო მოითხოვენ გემებს უფრო ადრე დართონ ნება გასვლისა.

გზათა სამინისტრო ამთავრებს მუშაობას რკინის გზის მოსამსახურეთა უზრუნველყოფის საკითხისას, რომელთაც ეხლა 600—1800 მან. აქვთ წლიური ჯამაგირი.

14 ოქტომბერს მოხდება სატარიფო მორიგი კრება რუსეთის რკინის გზების წარმომადგენლებისა. კრების პროგრამაში შეტანილია საკითხები: ტარიფის მოსპობა საზღვარ-გარედ გასატან ნავთზე, ტარიფის დაკლება სათბომ მასალაზე რომელიც ვოლგის პირას მდებარე ქალაქებიდან პეტერბურგამდე გაიქვთ და ეხლანდელი გადასახადების გადათვალიერება. ამას გარდა საკითხებია აღძრული ათას ფუთიანი ხორბლის ვაგონებისთვის განსაზღვრულ გადასახადის დაწესების თაობაზე, ეხლანდელი გადასახადების შემცირება საყინულე ვაგონების მიერ 400 ფუთის საქონელის გადატანისთვის და მოკლულ ფრინველებისა და ხორცის ცივადი ვაგონებით შემოტანილზე გადასახადის დაკლების თაობაზედაც.

დაიწყო თათბირი სოფლის მეურნეთათვის წვრილი კრედიტის ხელსაყრელ პირობებში მიცემის თაობაზე; თათბირს თავმჯდომარეობს ფიხახსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი თურქესტანის მხარეში ცვლილების თაობაზე: შემოღებულ იქნება ახალი შტატები, მოხელეებს მიემატებათ ჯამაგირები, შიდა რუსეთის მიხედვით, მხარე გუბერნიებად დაიყოფა, რომლის სათავეში გუბერნატორები იქნებიან და ყოველ გუბერნიაში ვეტერინალური სამსახურ დაარსდება.

ძიწად-ნოქმედების დეპარტამენტმა 1914 წლისთვის კავკასიასა, თურქესტანსა და სამხრეთ რუსეთში ახალი სანერგეების გაშენება განიზრახა მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად. განზრახულია დაარსონ ბამბის მოსაყვანი და ჭიის გამოსაყვანი სამაგალითო პუნქტები ქუთაისისა, განჯისა და ბაკოს გუბერნიებში. აგრეთვე ლონისძიებანია შემუშავებული, რათა კარგი ჭიის თესლი მიაწოდონ მყიდველს.

ცნობების მიმწოდებელი ბიურო, იუსტიციის სამინისტროს დავალებით იუწყება: მართალი არ არის გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, თითქოს იუშჩინსკის მკვლელები გამოტყდნენ ციხეში და ბეილისი უდანაშაულოდ ისჯებოდესო.

ლიბავა. დაატუსაღეს 6 სოციალ-დემოკრატი. უპოვეს არალეგალური ლიტერატურა.

ბეილისის საქმე.

კიევი. გამოაქვეყნეს არ გამოცხადებული მოწმის კარაევის ჩვენება. ბრალმდებელი და ზამისლოვსკი აღნიშნავენ მახალინის და კარაევის ჩვენებებს შორის წინააღმდეგობას. კვლავ შეეკითხებიან მახალინსა და კრასოვსკის, კრასოვსკი ამბობს: პირველად საქმეს მიშუკი იძიებდა, მერე ქალაქ გარეთელ აგენტებს იწვევდნენ, რადგან საქმე სენსაციონური იყოო. პეტერბურგიდან კუნცევიჩი გამოიწვიესო. საქმის გამოძიებისთვის დიდ წარმატებას მოველოდით და იმიტომაც იყო, რომ ენერგიულად ვმუშაობდითო. გრუზენბერგის შუამდგომლობის გამო, სასამართლო ადასტურებს: მაშკევიჩს ჩებერიაკის ბინის დათვალიერებისას ოქმი არ შეუდგენიაო. ბრალმდებელი და ზამისლოვსკი ვიღაც ფეოფილაქტოვის წერილის გამოქვეყნებას მოითხოვენ, რომელიც კარაევისადმი იყო მიწერილი და ზამისლოვსკის აზრით დიდმნიშვნელოვანია. დამცველები წინააღმდეგნი არიან. სასამართლო აქვეყნებს წერილის ნაწილს, დამცველები მთელი წერილის გამოქვეყნებას მოითხოვენ. სასამართლო დიდი თათბირის შემდეგ დაადგენს გამოქვეყნდეს, ხოლო სახელმწიფოს შეურაცმყოფელი ადგილების წაკითხვის დროს სასამართლოს კარები დაიხურებაო. გამოქვეყნდება ორი ჰატარა ადგილი წერილისა, რომლისგან კაცი ვერაფერს გაიგებს. ბოლოვინი ჩებერიაკს საეჭვო ადამიანად აღიარებს, ყოველთვის საეჭვო პირები დადიოდნენ მასთანო. მოწმე მალიცკისა იმეორებს წინანდელს ჩვენებას ჩებერიაკის სახლში შენიშნულ ხმაურობისა და არეულობის თაობაზე; ბავშის წივილი და საზარელი ხმა მომესმა ერთს დილასო. გამომძიებელს არ ვუამბე იმიტომ, რომ ჩებერიაკმა დამაშინაო. ცოლისვე ნათქვამს ადასტურებს მოწმე მალიცკი.

უბნის ზედამხედველი კირიჩენკო, რომელმაც ჩებერიაკის ბინა გასჩხრიკა, ამბობს: როდესაც ჟენია ოთახში გავიწვიე და იუშჩინსკიზე დავუწყე ლაპარაკი, ბავში შეშინდა და რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დედამ მეორე ოთახიდან ხელით ანიშნა და ისიც დაჩუმდაო. ჩებერიაკი ხშირად გაიჩხრიკებოდა ხოლმე, ნაქურდალის შენახვისთვისო.

ᲞᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასულის ბარათაშვილისაგან 25 მან. და ივანე ნიკოლოზის ძის კვეზარელი-კოპაძისაგან 25 მან.

რედაქტორი Ა. ᲯᲣᲛᲑᲐᲫᲔ.
გამომცემელი Ა. ᲖᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პარიზის სულმოდგმულად ახალი ფასონები
ᲥᲝᲠᲡᲔᲢᲘᲡ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ
Ა. ᲚᲔᲕᲘᲜᲗᲝᲜᲘ,
ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.
ᲕᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔᲡ.
ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ ᲓᲦᲔᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.
ᲤᲐᲡᲘ 25 ᲙᲐ�პ.
1168

ᲔᲥᲘᲛᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონეცოვის ძეგლის პირდაპირ.
ᲐᲮᲐᲚᲓᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ.
ᲓᲘᲚᲘᲗ:
„606“ ᲓᲐ „914“
11—12 ს. ᲨᲔᲛᲬᲐᲙᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.
Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
Ბ. Გ. ᲑᲐᲑᲐᲠᲘᲚᲝᲕᲘ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
Კ. Შ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
Შ. Მ. ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲜᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.
Ა. Შ. ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინაგანი აბაგშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **Ო. Გ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲜᲐ** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
Კ. Დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდ
1004 ექიმი **Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**

ექიმი **Შ. Ა. ᲛᲘᲫᲔᲚᲐᲫᲔ** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან აჯადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ᲒᲝᲜᲝᲠᲠᲔᲘᲡ (ᲑᲣᲡᲣᲜᲔᲢᲘᲡ) ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ:
„SALO—ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲚᲘᲜ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს დი, ექიმთა აზრით, ვენერიულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ოცეული. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
აგრედვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და ძაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კეკუასის საზოგადოების საეპეროში.
Метцль 22328. 1038



1523

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲖᲔ

ᲙᲚᲝ-ᲣᲒᲣᲠᲣᲚᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ერთად-ერთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ციცქა, 12,000 ანდასაური, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოგნე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ-ბლანში, 15,000 გრანხუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მიტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი **რუპერს**-ს დიულო 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი საღვინე ჯიშისა და 80 მან. 1,000 სამეფო ჯიშისა.
ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: წერილებისა და დეპეშებისთვის: **ᲙᲚᲝ-ᲣᲒᲣᲠᲣᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** 665

ᲡᲘᲜᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲬᲘᲜᲐᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲝᲒᲘᲡᲐ ᲥᲘᲡᲠᲐᲨᲕᲚᲝᲑᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲕᲐᲠ
ᲙᲚᲘᲨᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ
ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛ ᲤᲐᲡᲐᲓ.
ᲤᲝᲤᲝᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲣᲩᲐ, № 12. ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ Бол. Ванк. ул. № 12.
1009

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲚᲘᲡ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲗᲖᲔ“

ეს წიგნი იქნება მე-21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება სუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.

წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ ღირდება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.

ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.

ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავსუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი.**

მისამართი: Тифлисъ—Авлабаръ, Кабгеровская № 29. Ю. Абуладзе 14

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲰᲒᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲘᲡ ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

15 ოქტომბრიდან გაიხსნება პარალელური განყოფილება კურსების მეცადინეობა კურსებზე საღამოს 7½ საათზე დაიწყება. სკოლაში მიღება დღის 8—3 საათამდე. 1 თუმანოვის ქუჩა № 13. მიღება კურსებზე საღამოს 6—10 საათამდე. მისეილის პროსპ. № 17. 678

ᲖᲐᲛᲝᲬᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲘᲦᲔᲑᲐ
Ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ
„ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲘ“
ᲓᲠᲐᲛᲐ 3 ᲛᲝᲥᲛᲔᲓ. ᲤᲐᲡᲘ 25 Კ.

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ᲑᲣᲰᲒᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
Ი. Თ. ᲞᲐᲚᲐᲢᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ.

თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძღვევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამ ზედებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულ საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ. სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიშში: ᲐᲐᲮᲜᲒ., სავაჭრ., ბანკ., ᲥᲐᲠᲗ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერკ. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე. 3) რუსული ენა, 10) ანგარიშში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან.. 12) საკომერკ. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ᲯᲒᲣᲤᲨᲘ იყო 144 მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

1453

ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ!
სხვა ოქროს-ფასიან საათებს ნუ გაიოცებთ!
კარგ საათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.
— ✦ პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! ✦ —
საათი „ᲮᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘ“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.
200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ **„ᲮᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘ“**, რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსს არ ჩამოუვარდება „ᲮᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘ“-ს ლითონი კარგი დარსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვაძლევთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სასურავი დაფარულია 140ᲡᲐ კარატ. ოქროს სქელ სევდით. ეს საათი ნამდვილი შეიცავს ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა, ხუფიანი სამ სქელ სასურავიანი, იმართება თავის ბულღიით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით, 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10. მ.; 4 ცალი—19 მ. 50 კ., ფასები ნაკლები დავდეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად—40 კ, (ციმბირში—75 კ.). ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებობით ფასდადებითა და უბეოდ.

Берлинъ 35. Berlin — I. STRUMFELD Klosterstr, № 42.

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრთ წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურულ წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ.
Метцль. № 61483. 1579

მივიღეთ საყინულე-მატარებლით ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ
ᲫᲛ. ᲙᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮ. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

ᲐᲛᲣᲠᲘᲡ **ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ** |ᲙᲔᲢᲝᲕᲘ|, **ᲡᲘᲒᲘ**, ᲓᲕᲘᲜᲘᲡ **ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ, ᲒᲠᲣᲖᲓᲘ, ᲑᲠᲣᲡᲜᲘᲙᲐ** ᲓᲐ ᲡᲮᲕ.
ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲘᲣᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗ ᲩᲮᲛᲔᲚᲘ ᲡᲝᲙᲝ. 1500